ანი ბეზანტი

Annie Besant

ჯაინიზმი

JAINISM

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2024

ჯაინიზმი, ინდოეთის ერთ-ერთი უძველესი რელიგიური ტრადიცია/დოქტრინა აქცენტს აკეთებს არა-ძალადობაზე (აჰიმსა), სულიერ დისციპლინასა და ყოფა-ცხოვრების ყოველი ფორმის ღრმა პატივისცემაზე. ჯაინიზმის ძირითადი სწავლებები ეხმიანება მის საკუთარ ერთგულებას სოციალური სამართლიანობისა და ეთიკური ცხოვრებისადმი.

მთარგმნელი: დავით ცომაია
გამომცემელი: გიზო ცაცუა
გამომცემლობა „აქტი“, 2024
ვებ-გვერდი: AKTI.GE
© გამომცემლობა „აქტი“
ISBN 978-9941-8-6596-1

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა.....4
წინასიტყვაობა.....11
ჯაინიზმი.....21

ანი ბეზანტი, გამოჩენილი ფიგურა მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, გახლდათ მრავალმხრივი ნიჭის მქონე პიროვნება, რომელიც ცნობილი იყო თავისი საზოგადოებრივი აქტივიზმით, სპირიტუალიზმისა და თეოსოფიური მისწრაფებებით. მის მრავალფეროვან ინტერესებს შორის გამოსარჩევია ჩართულობა ჯაინიზმთან მიიმართებით, როგორც რელიგიური პლურალიზმისადმი ღრმა პატივისცემისა და სულიერი ჭეშმარიტებისკენ სწრაფვის დადასტურება.

1847 წელს ლონდონში დაბადებული ანი ბეზანტის მოგზაურობა ჯაინიზმისკენ არ გახლდათ სწორხაზოვანი და ერთგვაროვანი. ანგლიკანურ ოჯახში გაზრდილმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა საკუთარ რელიგიურ რწმენებსა

და ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასთან მიმართებით. მისი ადრეული ახალგაზრდობა გამოირჩეოდა სხვადასხვა სოციო-პოლიტიკურ საქმეებში ჩართულობით – მათ შორის, ქალთა და შრომითი უფლებებისა თუ საგანმანათლებლო რეფორმებისათვის სამოქალაქო ბრძოლით.

ბეზანტის შეხვედრა აღმოსავლურ სულიერებასთან, განსაკუთრებით ინდურ ფილოსოფიასთან, გადამწყვეტი აღმოჩნდა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის. მისმა ინტერესმა თეოსოფიის მიმართ – სულიერი მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა სხვადასხვა ტრადიციების მისტიკური და ეზოტერული მოძღვრების შესწავლას – მიიყვანა იგი ინდოეთში მე-19 საუკუნის ბოლოს. სწორედ აქ დაიწყო ბეზანტის გატაცება ჯაინიზმითა და მისი დოქტრინით.

ჯაინიზმი, ინდოეთის ერთ-ერთი უძველესი რელიგიური ტრადიცია, მომხიბვლელი აღმოჩნდა ბეზანტისათვის, ვინაიდან ეს დოქტრინა აქცენტს აკეთებდა არა-ძალადობაზე (აჰიმსა), სულიერ დისციპლინასა და ყოფა-ცხოვრების ყოველი ფორმის ღრმა პატივისცემაზე. ჯაინიზმის ძირითადი სწავლებები ეხმიანებოდა მის საკუთარ ერთგულებას სოციალური სამართლიანობისა და ეთიკური ცხოვრებისადმი. ჯაინების ფილოსოფიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს კარმას ცნებას, მიზეზ-შედეგობრივ კანონს, რომელიც მართავს დაბადე-

ანი ბეზანტი

ჯაინიზმი

წინასიტყვაობა

წინამდებარე ლექციები[1] არ უნდა მოგვეჩვენოს უფრო მეტი, ვიდრე ოთხი დიდი რელიგიის პოპულარული ექსპოზიცია, რომელიც განკუთვნილია ჩვეულებრივი ზრდასრული მკითხველისთვის და არა სტუდენტისთვის, აუდიტორიისთვის, თითქმის მთლიანად ინდუსებისგან რომ შედგება და მხოლოდ მცირეოდენი თუა მათ შორის ზოროასტრი ან ქრისტიანი. მართლაც უპირატესობაა სანსკრიტის ტერმინების ცოდნა... ასე რომ, დამატებულია შენიშვნები იქ, სადაც შეიძლება გაურკვევლობა

1. დოქტორ ბეზანტის ლექციების სერია დიდ რელიგიებზე, რომელთაგან თითოეული გამოქვეყნებულია ცალ-ცალკე, საერთო წინასიტყვაობით.

წარმოეშვა მათ გამოყენებას. მიზანი კი თითოეული რელიგიის წევრის დახმარებაა, აღიარონ რა ზოგადი ღირებულება და სილამაზე რწმენისა, რომელსაც რეალურად თავად არ მისდევენ და წარმოაჩინონ მათი ძირითადი ერთიანობა. ბუდიზმის შესახებ ლექციაში განსაკუთრებით ვაკვირდებოდი მცდარ წარმოდგენებს, რომლებიც აქრობდნენ უფალ[2] ბუდას თანამემამულეების გულებიდან და ციტატებით შედგენილი წმინდა წერილებიდანაც კი მის ამოღებას ცდილობდნენ – წერილებიდან, რომლებიც შეიცავს მისივე სიტყვების ავტორიტეტულ ჩანაწერებს. მართლაც, მე არ ვიცი, იმაზე დიდი სამსახური რა შეიძლება გაეწიოს რელიგიას, ვიდრე ამ დაშლილი სარწმუნოების ხელახლა შეკრება, რაც ფაქტობრივად ჰყოფს აღმოსავლურ სამყაროს. ისინი დედა-შვილი გახლავთ და ოჯახური ჩხუბი იგავურად მწარეა; ჯერ ისევ შეიძლება განხეთქილების განკურნება, თუკი მეგობრობის სურვილი ორივე მხარეს აქვს. ნაკლებად ღრმად ფესვგადგმული, თუმცა უფრო მწარე იყო ქრისტიანობისადმი ანტაგონიზმი – განრისხებული, უმეცარი და ხშირად უხეში შეურაცხმყოფელი თავდასხმებითურთ, რომლებიც განხორციელდა დაბალი

2. იგულისხმება, როგორც ბატონი.

ძმებო:

ჩვენ ახლა სულ სხვა გარემოში აღმოვჩნდებით, სადაც არ იქნება რომანტიკისა და რაინდობის სულისკვეთება, რომლებსაც ვხვდებით როგორც ისლამის, ისე სიქების რწმენაში. პირიქით, ჩვენ ვიქნებით მშვიდ, ფილოსოფიურ, წყნარ ატმოსფეროში. აღმოვაჩენთ, რომ ადამიანური არსებობის პრობლემებს ფილოსოფოსისა და მეტაფიზიკოსის თვალით განვიხილავთ, ხოლო, მეორე მხრივ, ქცევის საკითხი ჩვენი აზროვნების დიდ ნაწილს დაიკავებს. როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა, როგორია მისი ურთიერთობა, მიმართება მის გარშემომყოფ დაბალ საფეხურზე მდგომ არსებებთან, როგორ უნდა წარმართოს მან თავისი ცხოვრება, ქმედე-

ბები, რომლებმაც არ უნდა დააზიანოს, არ უნდა გაანადგუროს ჯაინიზმის ატმოსფერო – შეიძლება შეაჯამოს ერთმა ფრაზამ, როგორიცაა Sūtra kṛtāṅga[4], რომ ადამიანი აღწევს ნირვანას, ანუ მშვიდობას, თუკი არცერთ ცოცხალ არსებას არ დააზიანებს. ეს არის ფრაზა, რომელიც, როგორც ჩანს, თან ატარებს ჯაინას მთელ აზრს: მშვიდობა ადამიანსა და ადამიანს შორის, მშვიდობა ადამიანებსა და ცხოველებს შორის, მშვიდობა ყველგან და ყველაფერში, სრულყოფილი ძმობა ყველა ცოცხალს შორის. ასეთია ჯაინას იდეალი, ასეთია აზრი, რომლის რეალიზებასაც ის ცდილობს დედამიწაზე.

დღეისთვის ჯაინები სხვებთან შედარებით პატარა სხეულს წარმოადგენს; ისინი მხოლოდ ერთიდან ორ მილიონამდე კაცს ითვლიან. ესაა საზოგადოება, რომელიც ძლიერია არა თავისი რაოდენობით, არამედ ცხოვრების სიწმინდითა და, ასევე, თავისი წევრების, უმეტესწილად ვაჭრების, სიმდიდრით. ჯაინიზმის მიმდევრები აღიარებენ ინდუსთა ოთხ კასტას, მაგრამ ახლა მათ შორის მხოლოდ რამდენიმე

4. ჯაინ სვეტამბარას კანონის 12 მთავარი აგას მეორე აგამა. ეს აგამა აღწერს არა-ძალადობას, ჯაინურ მეტაფიზიკასა და სხვა რელიგიური თეორიების უარყოფას, როგორიცაა კრია-ვადა, აკრი-ვადა, აჯნა-ვადა და ვინა-ვადა.